www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

2025 წელი

04.03.2026
www.geostat.ge

04.03.2026

საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები
(2025 წელი)

2025 წელს საქართველოს აეროპორტები 8.5 მილიონ მგზავრს მოემსახურა[1], რაც 14.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს — აეროპორტებმა მიიღო 4.2 მილიონი მგზავრი (14.2 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 4.3 მილიონი მგზავრი (14.0 პროცენტით მეტი).

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი კაცი)



[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

04.03.2026

2025 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 95.2 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით
(%)



2025 წელს საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 33.6 ათასი შეადგინა, რაც 11.1 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

სამგზავრო რეისების რაოდენობა
(ათასი)



04.03.2026

2025 წელს საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 39.0 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 92.9 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 7.1 პროცენტი — გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში
(ათასი ტონა)



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით
(%)



04.03.2026

2025 წელს საქართველოს აეროპორტებში 3.9 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 77.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2025 წელს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 740.2 ათასი მგზავრი და გადატანილია 154.1 ათასი ტონა ტვირთი. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 14.8 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, ხოლო გადატანილი ტვირთის მოცულობა 42.9 პროცენტით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.

საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და გადატანილი ტვირთის მოცულობა



2025 წელს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული იყო 62 ერთეული საჰაერო ხომალდი, რომელთა 77.4 პროცენტს სამგზავრო საჰაერო ხომალდები შეადგენდა, ხოლო 22.6 პროცენტს — სატვირთო. სამგზავრო საჰაერო ხომალდების 72.9 პროცენტს 50 ან ნაკლები ადგილი ჰქონდა, 10.4 პროცენტს — 51-150 ადგილი, ხოლო 16.7 პროცენტი იყო 151-250 ან მეტი ადგილით.

2025 წლისთვის საქართველოს აეროპორტებს ჰქონდა 6 ასაფრენი ბილიკი, 59 გამშვები პუნქტი, 26 სამგზავრო გასასვლელი და 2.5 ათასი საპარკინგე ადგილი კერძო ავტომობილებისათვის.

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge